# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/28

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

**სტუ-ის შიდა აუდიტის სამსახურის ანალიზი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თ. ურთმელიძის მიერ წარმოდგენილი დასკვნის 2023 წლის 19 ივნისის №0000718221 და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშთან დაკავშირებით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**